# სახალხო გაზეთი

№ 600 ხუთშაბათი, 17 მაისი, 1912 წ. № 600

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი ...

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; ... წერილები და კორესპონდენციები ... თვით მხოლოდ დიდი წერილები ... პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

27 მაისს, „ახალ კლუბის" ბაღში გაიმართება

### სეირნობა ბაზრით

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართველ საზოგადოებას დახმარებას. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული. შემოწირულება მიიღება „საზოგადოების" კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე. (0.1254.5)

## სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „ზრდემლს".

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**თვეში ღირს — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს 1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა ფოსტის მარკა.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

13 მაისს, 1912 წ., დილით 9 საათზე, უეცრად გარდაიცვალა თავის ბინაზე ქალაქ ფოთში

**ივანე ივანეს ძე ასათიანი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **საშა დიმიტრის ასული შვილებით და ძმა მისი ბეგლარი.** პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 17 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ სახლ., ლევაშოვის ქუჩა, ქ. ფოთში. (2.1269.2)

---

## ახალი კლუბი

გადადის **საზაფხულო შენობაში** შაბათს, 19 მაისს, 1912 წ. 4 საათზე დღისით წევრთათვის და მუდმივ სტუმართათვის იქნება საზოგადო სადილი ხელის მოწერით.

საღამოთი **სინემატოგრაფი** და **სიმფონიური** ორკესტრი.
სტუმრები იხდიან: კაც. 50 კ., ქალები და სტუდ. 25 კ. (2.1241.1)

---

ახალი გამოცემა

## ქართ. სიტყვ-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა

### ბ ე ს ი კ ი

(ბესარიონ გაბაშვილი)
ფასი 1 მან.

იყიდება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობათ 20% დაკლებით. საწყობი: ოლგის მისახვევი, № 5 ბინა გ. ს. რცხილაძისა. 0—1235—8

---

ამა წლის პირველ ივნისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ჩვენი ცხოვრება"

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთი წლიურად ღირს | 7 მან. | თვიურად ქუთაისში | — 80 კ. |
| ნახევარის წლით | 4 ,, | ქუთაისს გარედ | — 90 ,, |
| სამი თვით | 2 ,, 10 კ. | საზღვარგარედ წლიურად 14 მ. | — ,, |

ცალკე ნომერი ყველგან--**ერთი შაური.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—სამი შაური, უკანასკნელზე ორი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა სამი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. სულაქველიძე.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріиловичу Баланчивадзе. ფული მიიღება **მხოლოდ ბალანჩივაძის** სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლები № 6. (3—1270— )

---

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

**ყურადღება მიაქციონ**

ახლად გამოსულ პაპიროსებს

## „ირის",

25 ცალი 15 კ. ბ 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,** ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

### „ძმ. სეილანოვები".

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.44)

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ძლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1033—22)

---

Adresse Télégraphique SANITAS

Адресъ Телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

## КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ

ТИФЛИСЪ. БАКУ. БАТУМЪ.

### ფეხსამოსის გაფრთხილება

გირჩევთ ფეხსამოსის ძირებისათვის
— იხმაროთ —

### რიპოლინ დ. მ.

ორ-სამჯერ რომ შეჰლებოთ ამითი ფეხსამოსის ძირი, მაგრდება, სისველეს აღარ უშვებს. (1—1272—1)

---

ვასწავლი

**ქართულ სიმღერა-გალობას**

**სამშაბათობით და ხუთშაბათობით 5—6 საათამდე.**

ადრესი: ავჭალის მოედანი № 11.

**მუშებს და ნოქრებს კვირაობით 3—4 საათამდე.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა № 29.

იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.** (6.416.5)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; ,,606" **წამლის** შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—338)

---

## შპალერი

### ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა.

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ. № 355.**

**საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც

**საქარხნო ფასებში იყიდება,**

თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.15

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 300)

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—92)

---

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება სტლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.111)

---

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—156).

---

## ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—56).

---

გამოცდილმა

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (не далеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.25)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის,**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა ,,606"**

(წლ.—1018—268)

---

დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგ. დოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 182. (თ. 1037 167)

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—34)

---

**ექიმი** კბილისა **არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.33)

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 1

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № [illegible], ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**პროფ. სუბბოტინი.** ქირურგ. ავად. კონსულტანტი, დამსახ. პროფ. სამხ. აკად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოგუოვსკი.** შინაგ. და ჰიპნ. 4—5 ს. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. ½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესხერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ, შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ.. სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ი. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით (თ. 1234—7).

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10--2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როგორც ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, სახელმწიფო სათათბირომ სახალხო განათლების მინისტრის განმარტება დამაკმაყოფილებლად არ ჩასთვალა. ამის გამო „რუს. ვედ." სწერს:

,,ამ შემთხვევაში სათათბირომ კარგად გამოჰხატა რუსეთის სულიერი განწყობილება. ბ-ნმა კასსომ ყოვლად ზომიერი და მშვიდობიანი ხალხიც კი მოთმინებიდან გამოიყვანა. პოლიტიკა რუსეთის სკოლისა და მეცნიერების თავ-აღებულ განადგურებისა, დეზორგანიზაცია და დემორალიზაცია რუსულ სკოლისა ზიზღს იწვევს ლოიალურ წრეებშიაც კი. ასეთი პოლიტიკა უკმაყოფილების თესლსა ჰფანტავს ყოვლად მშვიდობიან ელემენტებში. ეს უკვე ფაქტია. შეიძლება მას ყურადღება არ მივაქციოთ, როგორც ამას მინისტრი ჩსადის, მაგრამ სახელმწიფო ინტერესებისთვის იგი უმნიშვნელო არ არის".

ასეთი ფაქტი პირველი და უკანასკნელი არ იქნება. ისეთს მშვიდობიან სათათბიროსაც კი, რანაირიც ეხლანდელია, მრავალჯერ გამოუცხადებიათ უნდობლობა მინისტრებისთვის, მაგრამ იმათ არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ: იციან, რომ სათათბირო ძალას არ წარმოადგენს.

## სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

**გოლუბევი თავმჯდომარეობს.**

უკამათოდ მიიღეს შემთანხმებელთა კომისიის მოწონებული კანონპროექტი. იგი ნებას აძლევს ქალაქის თვითმართველობათ სახლის პატრონებს გადასახადი შეაწერონ და საქალაქო არხების გაყვანაში უეჭველ მონაწილეობა მიაღებინონ.

**თავმჯდომარის ადგილი აკიმოვმა დაიჭირა.**

განიხილეს რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი და შეუდგნენ რუსეთის გემთა აგების განვითარების კანონ-პროექტის განხილვასა.

**ბირილევი** სიხარულით ეგებება კანონ-პროექტს და მოლაპარაკე აღნიშნავს: ძალიან საჭიროა გემთა სატეხნიკო მხარეს მიექცეს ყურადღება, რომ „ტიტანიკის“ ამბავი არ დაგვემართოსო. განსაკუთრებით სავაჭრო გემებზე ყველაფერი რიგზე იყოს მოწყობილი და ნავებიც საკმაოდ ჰქონდეთო.

კანონ-პროექტი საფინანსო კომისიის რედაქციით მიიღეს.

უკამათოდ მიიღეს საკანონმდებლო და საფინანსო კომისიის კანონ-პროექტი აფშერონის კუნძულის ნავთიან მიწათა დამუშავებისა. პროექტი შემთანხმებელთა კომისიას გადასცეს.

სხდომა შესწყვიტეს. განახლებისას საბჭომ შემთანხმებელსავე კომისიას გადასცა სათათბიროს გამოგზავნილი ნავთიან მიწათა სარგებლობის კანონ-პროექტი.

**კარპოვი** მოხსენებას კითხულობს ქალაქთა და ერობათათვის კრედიტის მოწყობის კანონ-პროექტისას.

**ვიტტე**. კომისიაშივე ვიყავი წინააღმდეგი ამ საქმისათვის სახელმწიფო კრედიტის მოწყობისა. ვიტტე მოჰხრეა, რომ ქალაქებსა და ერობებს კერძო ბანკებმა აძლიონ სესხი. თანამედროვე სახელმწიფო ორ რასმეს ემყარება: ჯარსა და სახელმწიფოს კრედიტს. როგორც არ შეიძლება ჯარის შეწუხება უბრალო საქმისათვის, ისე არ შეიძლება სახელმწიფოს კრედიტის წარა-მარა ხელის წამოკვრა. ამიტომ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება სახელმწიფო, თუ ამ აზრს დაივიწყებსო.

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**. სრულიად ვეთანხმები გრაფს ვიტტეს, მაგრამ აქ საქმე სხვანაირად არის: მე მირჩევნია კერძო დაწესებულებათ აძლიონ სესხი ქალაქებსა და ერობათ, ვიდრე, სახელმწიფოს კრედიტმა, მაგრამ ამის წინააღმდეგია სათათბირო, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ. ორში ერთი უნდა ვირჩიოთ: ან სულ არა მივცეთ რა ქალაქებსა და ერობათ, ან სახელმწიფო კრედიტი მოვიშველიოთ. ძალიან მძიმე საქმესა ვასრულობთ, მაგრამ გაკეთება უეჭველად საჭიროა, იმედია, როგორმე მოვახერხებთ და სახელმწიფო კრედიტი ერობათა და ქალაქთა დახმარებით არ დააზარალებსო.

**კარპოვი**. სახელმწიფო კრედიტი სჯობია ყველასა, იაფადაც იქნება და ქალაქ-ერობაზედაც გავლენას იქონიებს მთავრობაო.

**სუხომილოვს მე-2** რამდენიმე საგულისხმო შესწორება შეაქვს და მოითხოვს მათ კომისიისათვის გადაცემას.

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე** წინააღმდეგია ამ წინადადებისა: საქმეს შეაფერხებსო.

**დიმიტრიევი პირველიც** წინააღმდეგია შესწორებათა კომისიისათვის გადაცემისა.

საბჭომ სუხომილოვის წინადადება უარჰყო და გადასწყვიტა შესწორებანი განიხილოს მუხლობრივ განხილვის დროს.

საზოგადო კამათი გათავდა.

შემდეგი სხდომა 18 მაისს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ნამესტნიკის კანცელარიის საფინანსო განყოფილება** ხარჯის ამკრებ ინსპექტორებს შეეკითხა, რა ზიანი მოუტანა სასოფლო მეურნეობას წვიმა სიცივემაო. პასუხი 25 მაისამდე უნდა აცნობონ.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი** თვე-ნახევრით ტფილისიდან საზღვარ-გარედ გაემგზავრა.

✦ **ტფილისში დაბრუნდნენ**: ოლქის სასამართლოს თავჯდომარე ნ. ვ. ტოლპიგო და ბრალმდებელი ა. ნ. სილინი, სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ა. ა. გრომოვი დ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი გ. ვ. მუსელიუსი.

✦ **შუამდგომლობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება შუამდგომლობს, რათა საერობო თანხიდან 800 მან. მიეცეს პირუტყვთა გამოფენაში მონაწილეობის მოსალებად. გამოფენა გაიმართება ყარსში მომავალს ივნისს.

✦ **სეირნობა.** 19 მაისს მუშტაიდში სეირნობა გაიმართება სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **შეიპყრეს** ცხინვალის მცხოვრები ილია სოლომონის ძე ჯაფარიძე, რომელიც გორში იყო გადასახლებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და ტფილისში თავის ნებით ჩამოვიდა.

✦ **პროფ. სივერსი**, რომელსაც ასე მოელოდნენ, ტფილისში უკვე ჩამოვიდა და ქალაქის ბუჰგალტერიაში ორგამ იტალიურ სისტემას საბოლოოდ დააყენებს. მასვე წარედგინება ხმოსნის ბეზბრაზოვის შენიშვნები საქალაქო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

✦ **ქუჩების მოკირწყვლა.** როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭომ 15,000 მან. გადასდო ქალაქის განაპირა ქუჩების მოსაკირწყლავად. ამ ფულიდან ოთხას-ოთხასი თუმანი გადაიდო ვაკისა, ავლაბრისა და ნაძალადევ-დიდუბისთვის, ხოლო ას-ასი თუმანი—სურფ-კარაპეტის ხევის რაიონისა, მავსოფლისა და კრწანისისათვის.

✦ **ჟურნალი „განათლება“.** რედაქციამ მიიღო სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლება“-ს მაისის (5) ნომერი.

**შინაარსი**: 1. თვით დაცვის ძალა ადამიანის სხეულში—ექ. ბადრიძისა. 2. მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან—ექ. ევგ. ლოსაბერიძისა. 2. ჰიგიენა—ილ. ალხაზიშვილისა. 3. ვახტანგ ორბელიანი და მისი პოეზია (დასასრული) ილ. ფერაძისა. 5. შრომა და მისი მნიშვნელობა—ლ. ბოცვაძისა. 6. ოჯახის ზნეობრივი მხარე—ივ. გომართელისა. 7. ნიმუშები ჩვენს დავიმყოფებისა—იპ. ვართაგავასი. 8. ალექსანდრე ივანეს ძე ჰერცენი—კახაბერისა. 9. ობლად შთენილი—დ. თურდოსპირელისა. 10. საკაძის გოდება—ს. აბულაძისა. 11. დილის ტაძარი,—გელასი. 12. ბულბული და ვარდი,—კატო ბაქ—ძისა. 13. ყვავილების ბასი,—ი. ევდოშვილისა. 14. ატმები,—ბიკენტი ს. თაბუკაშვილისა. 15. შინაური მიმოხილვა. 16. ხეების დარგვის დღესასწაული,—ლ. ბ—ძისა. 17. რუსეთი. სახალხო სკოლის მასწავლებელთა საპენსიო კასსა. 18. სია სარეკომენდოდ გამოგზავნილი წიგნებისა. 19. განცხადებანი.

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა 29 აპრილიდან სიღნაღის მაზრის სოფელ საქობოს მცხოვრები ალექსი (ლექსო) ვასილის-ძე ნიკოშვილი.

✦ 15 მაისს ტფილისში 40 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის** კრება 12 მაისს მოხდა სენატორ ვატაცის თავჯდომარეობით. კომიტეტმა დაადგინა: მონაწილეობა მიიღოს მეხვარეობის გამოფენაში (მოსკოვში) და სრულიად რუსეთის შინა მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენაში (პეტერბურგში). ამ საქმის განსახორციელებლად ორასი თუმანი გადასდო.

✦ **სახალხო სამუსიკო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 20 მაისს, დილის 11 საათზე მოხდება ნაზარიანის სალიტერატურო-სამხატვრო წრის შენობაში. განხილულ იქნება 1911 წლის ანგარიში და არჩეულ იქნებიან გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება სამშაბათს, 15 მაისს მოხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით. განხილულ იქნა საკითხი ქალაქის სამშობიარო თავშესაფარისათვის საკუთარ შენობის აგების შესახებ. ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია და დასასრულ საბჭომ მიიღო ქალაქის გამგეობის წინადადება: 1) დაუყონებლივ შეუდგეს „ბოლნიჩნი გოროდოკში“ თავშესაფარისთვის (40 საწოლია) საკუთარ შენობის აგებას იმ ვარაუდით, რომ შემდეგში შესაძლებელი იყოს თავშესაფართან საგინეკოლოგო განყოფილების გახსნა, 2) შენობა აგებულ იქნეს მოიჯარადრეების საშუალებით. როდესაც შენობა დასრულდება, დაგირავებულ იქნეს და აღებულ ფულით მოიჯარადრეები იქნენ გასტუმრებულნი, 3) თავშესაფარის შენობა 56,000 მან. უნდა დაჯდეს და სხვა. ამის შემდეგ განხილულ იქნა საკითხი სულით ავადმყოფთა თავშესაფარისთვის საკუთარ შენობის აგების შესახებ. საბჭომ გამგეობას დაავალა, ამ საგნის თაობაზე დაწვრილებითი მოხსენება შეადგინოს.

## სასამართლო.

✦ **ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავჯდომარე** ნ. პ. ფედოროვი ტფილისს ჩამოვიდა.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** თელავს გაემგზავრა.

## ქუთაისი.

✦ **ახალი გაზეთი.** 1 ივნისიდან ქუთაისში გამოვა ახალი ქართული ყოველ-დღიური გაზეთი სახელად „ჩვენი ცხოვრება“.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ სალიტერატურო დილის რეცენზიის ბოლოში შეცდომით აწერია ა უნდა იყოს ნ.

# დეპეშა

## კავკავი.

(კერძო დეპეშა).

არქიეპისკოპოსი პიტირიმი გულითად მიეგება ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს დავითს. დიდხანს ესაუბრა. ყოვლად სამღვდელო დავითი ჩინებულ გუნებაზეა და სალამს უძღვნის თავის საყვარელ სამშობლო ქვეყანას.

# იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობის გამო

იაკობ გოგებაშვილის მდგომარეობა უმჯობესდება. სიცხემ უკლო, ტკივილები მიუყუჩდა. თუმცა დამლამობით სიცხეს აძლევს და ასუსტებს.

**პეტერბურგი.**

(დეპეშა)

„უღრმესად შეგვაწუხა იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობამ. ვუსურვებთ მალე მორჩენას. სამხედრო სამკურნალო აკადემიის ქართველ სტუდენტთა მონდობილობით **მახვილაძე**“.

**ხონი.**

(დეპეშა)

ხონის საკრებულო ტაძარში დიდძალ საზოგადოების თანადასწრებით გადაიხადეს პარაკლისი იაკობ გოგებაშვილის განსაკურნებლად.

მეტეხის ციხეში მყოფი პოლიტიკური ტუსაღნი უსურვებენ პატივცემულ პედაგოგს მის განკურნებას.

**ი. იმედაშვილი.**

# შემოწირულება

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებას სეირნობისთვის შემოსწირეს**:

28. „ნაკადულის“ რედაქციამ ჟურნალი „ნაკადული“ 1912 წლისა თავის პრემიით, ორი ეკზემპლიარი მთელის წლისა.

29. „ცისკრის“ ამხანაგობამ 30 წიგნაკი თავის გამოცემა.

30. კნეინა ელისაბედ რევაზის ასულმა ბარათაშვილმა: ორი ვაზა, ერთი ხელ-საქმის კალათა, ერთი დედოფალა ხისა, ერთი წიგნი—„ბრძოლა საქართველოს მოსასპობად“.

საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

# ოპერა დემონი ქართულად

14 მაისს, ქართულ თეატრში დასდგეს 3 მოქმედებიანი (ხუთ სურათად) ოპერა დემონი, მუსიკა რუბინშტეინისა. ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, რომ ჩვენში ნელ-ნელა ფეხს იდგამს მუსიკა და მისი თავდადებული და მოსიყვარულე ქურუმნი ქართულად ოპერის დადგმასაც ახერხებენ. კვირას დადგმული „დემონი“ საუცხოვო იყო საერთო ანსაბლით, ჩინებულად და მოხდენილად შეასრულა დემონის როლი **ბ-ნმა ცხომელიძემ**. საუცხოვო იყო თამარის როლში **ქ-ნი პრესნისკისა**. მხიბლავი იყო ანგელოზის როლში **ქ-ნი დავითაშვილისა**. მოხდენილად და გრძობით ასრულებდა თავად სინოდალის როლს **ბ-ნი კოლოტოვი**. შესაფერად და მოხდენილად ასრულებდა გუდალის როლს **ბ-ნი ისაიაშვილი**. კარგი იყო მახარობელი **ბ-ნი დავიდოვიც**.

საერთოდ ოპერამ რიგიანად ჩაიარა. მწყობრი იყო ხორო. კარგად მომზადებული იყო ორკესტრი, რომელსაც ნ. ქართველიშვილი ლოტბარობდა.

რა თქმა უნდა ოპერას ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ მუსიკის მოყვარულთ მეტი არ მოეთხოვებათ.

მეორე მოქმედების წინ გამოაცხადეს: ბ-ნ ოს. ბარათაშვილის ავადმყოფობის გამო თ-დ სინოდალის როლს ბ-ნი კოლოტოვი შეასრულებსო. კოლოტოვი კარგად მღეროდა, მაგრამ რუსულად; ამას კი მცირეოდენი დისონანსი შეჰქონდა. ბ-ნი ბარათაშვილი იმდენად ავად ყოფილა, რომ პარტერის ფოიეში დასეირნობდა, სრულებით ჯანსაღი. ასეთი საქციელი საპატიებელი არ არის.

როგორც აცხადებენ, ახლო მომავალში დასდგავენ ქართულადვე „**რიგოლეტოს**“.

გულით და სულით ვუსურვებთ წინ-სვლას ამ საქმის მოთავე-მონაწილეთ.

**ნ.**

# ქუთაისის ჭირ-ვარამი.

გორის პროგიმნაზიის ინსპექტორს ბ-ნ ზაალიშვილს ქართული ენის მასწავლებლისათვის პედაგოგიურ საბჭოზე დასწრება აუკრძალავს მას შემდეგ, როცა ერთ მასწავლებელს განუცხადებია, რომ მისი დასწრება კანონს ეწინააღმდეგებაო.

ამ ცნობამ „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილმა ჯერ გამოცა, და მერე დამაფიქრა—ვინ იცის, ვეუბნებოდი ჩემს თავს, იქნება მართლა მთავრობის სასწავლებლებში ქართული ენის მასწავლებელი ისეთი უუფლებო არსებანი არიან, როგორიც ზაალიშვილს გაუხდია თავისი კოლეგა.

გამოვიკითხე ეს ამბავი და აღმოჩნდა, რომ მთავრობის გიმნაზიაში მასწავლებელი ქართული ენისა წევრთა პედაგოგიური საბჭოსი სრულს უფლებითაა აღჭურვილი და აზრად არავის მოსვლია ეს უფლება წაერთმიათ ვისთვისმე. და ეს იმ დროს, როცა გიმნაზიას არავითარ დახმარებას არ უწევს საზოგადოება ქართული ენის სწავლებაში.

ამ ნაირად ქუთაისის მთავრობის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი უფლება ახდილი არ არის, როგორც ბ-ნ ზაალიშვილს უნებებია, მაგრამ ყველასათვის ათვალწუნებულ ქართული ენისათვის სხვა მხრივ მოუვლიათ და იგი ქართველ მოსწავლეთათვის სავალდებულო საგნად არ გაუხდიათ. ამისთანა პირობებში მოსწავლეს შეუძლიან ქართული ენის გაკვეთილებს არ დაესწროს და არაფერი გაეგებოდეს ქართულისა და ეს ხელს არ შეუშლის მას შემდეგ კლასში გადასვლისათვის.

ჩვენს საზოგადოებაში აღზრდის საქმე, რომ ისე იყო დაყენებული, რომ ბავშვს დედის ძუძუსთან ერთად აგებინებდენ იმ აზრს, რომ სამშობლო ენის შესწავლა ისეთივე სავალდებულოა მისთვის, როგორც ყოველ დღიური საზდოება, მაშინ ეს შეზღუდვა თვალ-საჩინო ზიანს არ მოიტანდა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამის მსგავს ჩვენს საზოგადოებაში არაფერს ვხედავთ და ქართველი მოსწავლეები ქართულ ენას, მცირე გამონაკლისის გარდა, უგულოდ ეკიდებიან, ხოლო არიან თურმე ისეთნიც, რომელნიც უკადრისობენ სამშობლო ენის სწავლას.

ჩვენს ქართულ გიმნაზიაში ჯერაც არა ყოფილა გამორკვეული, აბრკოლებს თუ არა სუსტი ნიშანი ქართულ ენაში მერვე კლასის მოსწავლეს ატესტატის მიღებაში. ეს საკითხი, როგორც ირკვევა, აღძრულა წრეულს, როცა მერვე კლასიან რამდენიმე მოსწავლეს ქართულ წერაში სუსტი ნიშანი მიუღია.

როგორც მოგახსენებენ, ამ გარემოებით უსარგებლია ქართულ გიმნაზიის საბჭოს დ განსახილველად და გადასაწყვეტად დაუყენებია საკითხი—მიეცეს თუ არა ატესტატი მერვე კლასის მოსწავლეს, თუ მას ქართულ ენაში სუსტი ნიშანი აქვსო?

თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ ისიც ვიკმაროთ, რომ ეს საკითხი მაინც აღძრულა და ეჭვი არ არის, გადაწყდება კიდეც ქართულ ენის სასარგებლოდ. ნეტა ტფილისის ქართულ გიმნაზიაში რა გზას ადგანან ამ საგნის შესახებ?

**მასწავლებელი.**

# გალობა და ჩვენი სკოლები

პედაგოგიაში უტყუარ ჭეშმარიტებად არის მიჩნეული რომ ბავშვის ბუნებრივ მიდრეკილებათა გაწრთვნა-განვითარება თანასწორად, ჰარმონიულად უნდა სწარმოებდეს. ცალმხრიობა არსად იმდენად მავნებელი არ არის, როგორც სწავლა-აღზრდის საქმეში, ამიტომ შეუსაბამოა უმთავრესი ყურადღება მიექცეს ერთ რომელიმე მხარეს, მის ზედმეტ განვითარებას, ვინაიდან ეს გამოიწვევს მოწაფის სხვა სულიერ ძალთა დასუსტებას და დახშობას. ჰარმონიული განვითარება, სულიერი პროპორციონალობა, სულისა და სხეულის თანაბარად განვითარება, საყოველთაოდ, ადამიანის სასურველ ბუნებრივ მიდრეკილებათა მთლიანი აღზრდა, აი, რა შეადგენს სად პედაგოგიის უპირველესს საგანს.

მიუხედავად ამისა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენებურ პირველდაწყებით სკოლებს მავნებელ ცალმხრივობის წაუშლელი ბეჭედი აზის, რაც ჩვენ მიერ უბრალო პედაგოგიურ მოსაზრებათა შეუგნებლობის

---

# საუკუნეთა ლეგენდები ჩვენს უახლოეს ლიტერატურაში.

## „მედეია და მშვენიერი ელენე“ ა. შანშიაშვილისა.

(შემდეგი *)

II

მალე მთელს ქვეყნიერებაზე მოედება ვერძის ამბავი. საბერძნეთის მეფე პელეისი ამ ამბავს რომ გაიგებს, შურით აივსება, მოიხმობს თავის ძმისწულს—იაზონს, რომელსაც ვერძის ტყავის საძებრად გაჰგზავნის *). იაზონი შეჰკრებს საბერძნეთის სიუკეთესო გმირებს, ააგებს ნავს არგოსს და გზას გაუდგება. მოგზაურობის დროს იაზონს ჩაეძინება ნავში და ჰხედავს საუცხოვო ქალის ლანდს, რომელიც ნაზის ხმით ნანას უმღერის და თან ჰპირდება, რომ ხელახლად კოლხეთში მნახავო. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვინ იქნება ეს ქალი, რომელმაც იაზონის ბედ-იღბალი უნდა გადასწყვიტოს. სწორედ ამ დროს ამოვარდება ქარიშხალი და ნავი მიაშურებს ნაპირს, სადაც ჩვენი მოგზაურები გადახდებიან და კვესით ცეცხლს გააჩაღებენ. ეს ქვეყანა ეკუთვნოდა პრიამს, რომელსაც მოციქულს გაუგზავნიან არგონავტები და თავიანთ მოსვლას აუწყებენ. პრიამის სიხარულს საზღვარი არა აქვს. იგი გაჰმართავს ნადიმს და ისე გაუმასპინძლდება, რომ ქართული ჩვეულებრივი ტერმინი რომ ვიხმაროთ, სულ ქუდი ჰერში ასროლინა. ლხინის დროს იაზონი თვალს მოჰკრავს მშვენიერს **რენოს**, მეფის მზეთუნახავ ქალს. მისი დანახვა და შეყვარება ერთი და იგივე იყო. სტუმრები ლხინის შემდეგ ერთმანეთს გამოელაზღანდარებიან. მასპინძლის ამალიდან ვერც ერთი გაუმაგრდება **ფიდოს** (ოხუნჯი თანამგზავრი იაზონისა) მოსწრებულ ოხუნჯობაში. შემდეგ იმართება ბურთაობა, ჯირითი, ყველგან გამარჯვება აქიელთ (არგონავტებსა) რჩებათ. რა თქმა უნდა, ეს ბევრად არაფრად მოეწონებოდათ ტროიანელებს (პრიამის ხალხს) და ახლა ფალავნობაში გაიწვევენ, მაგრამ აქ ჰერკულესი გამოვა დ ყველას ყირა-ყირა გადაატრიალებს. ეს კი ველარ მოითმინეს ტროიანელებმა დ კინკლაობა სერიოზულ ბრძოლად გადააქციეს. კიდე კარგი, რომ მეფის ასული მოინადირა იაზონმა, თორემ თუ მას არ ეშველნა, ცუდი დღე დაადგებოდათ აქიელთ. არგონავტელები ისევ იაზონის გარშემო იყრიან თავს, მასპინძელს მასპინძლებისათვის მადლობას ეტყვიან. იაზონი რენოსგან საწინდარად მიიღებს ძვირფას თვლებით მოჭედილს სარტყელს და ისევ გზას გაუდგებიან.

აი აქ სწყდება ჯერჯერობით პოემა. არ ვიცით, რა იქნება შემდეგ, არ ვიცით, როგორ დასძლევს შანშიაშვილი ამ მეტად რთულ ფაბულის დამუშავებას, მაგრამ სიტყვითკი, რომ თვით ამ გამოქვეყნებულ ნაწილსაც, მიუხედავა იმისა, რომ მის სხვა თხზულებებზე მეტი დამუშავე ეტყობა, ჯერ კიდევ იგი შორსა სდგას მთლიანობამდინ. საილუსტრაციოდ კადნიერებაში ნუ ჩამომერთმევა აღვნიშნო ზოგიერთი დეფექტები: პოემის გმირების სახელებს ხშირად ერთმანეთში ურევს, მაგალითად, აფამანტის (ნამდვილად ათამასის) ძმა კრიტესი კი არ იყო, არამედ ის პელიასი, რომელსაც შ—შვილი არგონავტების ექსპედიციის წინ იხსენებს: „რა ესმა ესე ამბავი **პელეის საბერძნეთისასა-“ო** (გრდემლი, 307 გვ.) სწორედ ამიტომ არის, რომ კრიტესის სახსენებელი პირველ გვერდიდანვე ჰქრება. შემდეგ: თავის დროზე არ ანვითარებს ვინ არიან აქეელნი, ან ტროიანელები, რის გამოც უბრალო მკითხველისთვის გაუგებარი რჩება პრიამის წვეულობის დროს მომხდარი კონფლიკტი აქეელთა და ტრიანელთა შორის. მაშასადამე, საჭიროა პოემის მთლიანობისა და ღირსების დასაცველად ავტორმა ამ დეტალებს ყურადღება მიაქციოს შემდეგში მაინც.

თვით ფერადები ვნებისა თუ ტრფობის გამოსახატველად ერთგვარი არის, რისგამოც უეჭველია, პოემის სიმრგვალეს ვნებს. მაგალითად, უმანკო ფრიქსისა და ელეს სიყვარულის აღწერა არაფრით განსხვავდება ვერაგ იაზონისა და რენოს სიყვარულიდან. რომ ეს მარტო სიტყვები არ ეგონოს მკითხველს, მოვიყვანთ ერთ-ორ ტაეპს:

**ფრიქსი მღერის:**

დილით ადრე ხილვა მსურდა თეთრ მანდარის;
იადონმა სტვენით მითხრა: შორს ნუ მიხვალ, ე, მანდ არის.
რა დავხედე, აღარ მსტყორცნა მზგავსი შუქი მე მან დარის“,
—და სხვა, მოლომდინ. (გრდ. 296 გვ.).

**რენო:**

„.... ბაღში გაველ, ტკბილო სატრფოვ შენ გიცადე;
რა არ მოხველ, შენავლონდი, სევდა მწარი განვიცადე,
ყოფის *) ნიავმა ოდნავ დამკრა, თან მომიძღვნა შავი გლოვა“,
და სხვა, (გრდ. 316 გვ.).

შეადარეთ ესევე ფრიქსის წუხილი, როდესაც ელეს დაკარგვას მოსთქვამს (გრდემლი, 304—305 გვ.) და რენოს გოდება, როდესაც იაზონი მიეფარება მის თვალს (313—316 გვ.). და ეს არა მარტო წუხილში, თვით სურათების აღწერილობაშიც. მაგალითად, რენოს აღწერა, დემეტრიკას აღწერიდან არაფრით განსხვავდება, თუ მხედველობაში ლურჯი თვალები ჯერ მივიღეთ და გვერდზე შეხეული ტანისამოსი (შეიძლება რენოც ატარებდა ასეთს სამოსს, ვინ იცის, მგოსანმა ამაზე არაფერი სთქვა), აი ესეც:

„გმირის გვერდით იდგა რენო,
ხელთ ეკავა სუსამბარი,
**თხელ მარმაშის ტანისამოსს** შეურხევდა ოდნავ ქარი,
ნათლად სჩანდა **მომხიბვლელი ძუძუ მკერდი**, ტანი მრგვალი,
თითქო კოკორ აყრილიყოს ცეცხლით სავსე მოტრფიალი.
**თმის კულული ყელზე სცემდა**, მორცხვად მზერდა ლურჯი თვალი.
ანათებდა ტურფა ბაგით კბილი შუქით გამომკრთალი“, და სხვა.
(იხ. გრდ. 313 გვ.).

აქ ავტორს რენო რო არ ეხსენებინა, უეჭველია მკითხველს დემეტრიკა გაახსენდებოდა. იგივე გამჭვირვალი ტანისამოსი, სავსე გულმკერდი, კულულები და სხვა.

ამის გარდა არის ბევრგან შეუფერებელი მეტაფორები, ჰარმონიაში დისონანსის შემტანი სიტყვები, როგორც, მაგალითად, „მემუსიკეთ და მომღერალთ ტკბილი ჰანგი **აზვიადეს**“, თუ გააზვიადეს, ეს ჰანგი ტკბილი აღარ იქნება და წინააღმდეგ, მით უმეტეს „ტკბილი ჰანგის გაზვიადება“ შეუძლებელი იყო ამ

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 599.

*) სამწუხაროდ ეს ადგილი ჩვენს მგოსანს მეტად ბუნდოვანად აქვს გადმოცემული. მაგალითად, იგი ამბობს:

„რა ესმა ვერძის ამბავი პელეის საბერძნეთისას,
მეფე **შავს შურსა მიეცა საშინელს ჯოჯოხეთისას**,
მოიხმო თავის ძმისწული... (გრდემლი, 307 გვ.) და სხვა (ხაზი აქაც და შემდეგაც ყველგან ჩვენი იქნება). იაზონს გაისტუმრებს თუ არა, ამ **შურის აღმძვრელ** ვერძის საძიებლად, მეფე თავისუფლად ამოისუნთქავს, ჯანდაბასაც გზა ჰქონია, ვინაიდან იცის, რომ.

„მოჰკლავენ **ჭაბუკს მემკვიდრეს** მტერსა ვერ გადურჩება,
ვხედავ, **კვლავ თესალონიკი ჩემს ბრძანებას ქვეშ რჩებაო** (გრდემლი, 304 გვ.)

როგორც ჰხედავთ, აქ მკითხველმა არ იცის, მართლა ვერძის ტყავის შესაძენად ჰგზავნის მეფე იაზონს, თუ იმიტომ, რომ თესალონიკი ისევ მის ხელში იყოს? ნამდვილად აი ლეგენდა რას მოგვითხრობს: მეფე **პელეისს** ძრიელ ეშინოდა ტახტის დაკარგვა, მუდამ ეჭვში იყო, ვაი თუ ჩემმა ძმისწულმა იაზონმა წამართვასო. მისანთან შეკითხვის შემდეგ პელეისი გაიგებს, რომ მას საფრთხე მხოლოდ ცალ ქალამნიანი კაცისგან ელის. სწორედ ამ დროს შემოვა იაზონი, რომელსაც ცალი ქალამანი წყალზე გადმოსვლის დროს დაჰკარგოდა. მეფემ რო დაინახა, ჰკითხა თავის ძმისწულს, რას იზამდი, რო შენთვის ეთქვათ: სიკვდილი შენს ნათესავიდან გელისო. იაზონმა დაუყოვნებლივ უპასუხა: ვერძის საძებნად გავჰგზავნიდიო. ამნაირად, თვით იაზონმა გადაიწყვიტა თავისი ბედი. რა თქმა უნდა, მეფესაც მაშინ გაუხარდებოდა, რომ მეტოქეს თავიდან მოიშორებს. იაზონი ემორჩილება ბედს, მოიწვევს ბერძენთა საუკეთესო გმირებს: ჰერკულესს, თეზეოსს, პელეოსს, განთქმულ დამკვრელს ორფეოს, ესკულაპს და სხვებს. შემდეგ პელიონის მთაზე დოდონის სადმრთო ტყეში მოსჭრიან იმ დროის შესანიშნავ ნავის მასალას, რომელსაც არგო უწოდეს, რის გამოც თვით მოგზაურებს **არგონავტები** ეწოდათ. პირველად მოგზაურები შეჩერდნენ **ლემნოსის** კუნძულზე, სადაც საზარელი დედოფალი ჰიპსიპილი მეფობდა. ორ წელს დაჰყოფენ არგონავტები ამ კუნძულზე, თვით დედოფალს შეირთავს ცოლად იაზონი და შემდეგ გაუდგებიან გზას. ბევრს თავგადასავალს გაივლიან ჩვენი მოგზაურები და როდის-როდის მიაღწევენ კოლხეთს...

ვისაც ჰსურს დაწვრილებით გაეცნოს ამ ლეგენდებს, კარგი იქნება გაეცნოს დე შრომის „Mitholoqie de la grece antique“, ბუშე-ლეკლერკის Hiscoize de lad vinitions de la grèce antiqu!, გერუზეს „Mitholorie“ საზოგადო თხზულებიდან **რიჩი** Dictionaire des antiquites grecques et romaines და სხვანი. **მედეას** შესახებ მშვენიერი ტრაგედია ეკუთვნის ევრიპიდეს 1431 წ. ქრ. დ. წ.). აგრეთვე სენეკას, შემდეგ საფრანგეთის ცნობილ ტრაგიკოს კორნელის (1635 წ.) რომელმაც მედეას პირით სასტორიო სიტყვა დაუტოვა კაცობრიობას; Mo, dis-je, et c'est assez! მე ეს ვსთქვი და ეს საკმარისიაო!

**დ. კ-ძე.**

*) აქ უნებური, ან კორექტურული შეცდომაა. ჩვენის აზრით უნდა იყოს: **მთის ნიავმა**, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მარცვლით მეტი იქნება. დ. კ—ძე.

შედეგია. ჩვენებური სახალხო სკოლები უმთავრესს ადგილს მოწაფეთა ჭკუა-გონების გაწრთვნას, ფორმალურ დაგეშვას უთმობ!, ცდილობს უხვად გაამდიდროს ბავშვის მეხსიერება ელემენტალურ მეცნიერულ ფაქტებით, მისცეს მეტწილად გამოუსადეგარი ცოდნა და სულიერ ძალთა განვითარება-აღზრდაზე კი ძლიერ ცოტასა ზრუნავს. თითქმის უყურადღებოდ სტოვებს გრძნობათა სფეროს; არ უნვითარებს მშვენიერებისადმი სიყვარულს, ესთეტიურ გემოვნებას და სხვათა, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ყოველ მხრივ აღზრდა-განათლებისათვის.

რომ შორს არ წავიდეთ, საკმაოა გავიცნოთ, როგორ უყურადღებობას განიცდის ამ სკოლებში ისეთი ფრიად სასარგებლო საგნის სწავლება, როგორიც გალობა დ, საერთოდ, მუსიკაა. თუ რა დიადი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს გალობის რაციონალურად სწავლებას პირველ-დაწყებით სკოლებში, იგი ყველა ჩვენგანს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი.

გალობა ამახვილებს ბავშვის სმენას, წრთვნის და აკეთილხმოვანებს მის ხმას, უვითარებს ესთეტიურ გრძნობას, უღვიძებს ამხანაგურ განწყობილებას, უმაგრებს ნებას და ჰქმნის დისციპლინას და სხვა.

იშვიათია ჩვენში ისეთი სახალხო სკოლები, სადაც გალობის წესიერად სწავლება სწარმოებდეს; ბევრს სკოლაში კი მგალობელთა გუნდიც არ არსებობს და ეს საგანი სრულიად მივიწყებულია. ამის მიზეზი უმთავრესად გალობაზე საღ პედაგოგიურ შეხედულების უქონლობაა. ჩვენი სკოლების სასწავლო საგნათა რიცხვიდან გალობა გამოკლებულია. მხედველობაში არ მიიღება, რასაკვირველია, ის გარემოება, რომ ჩვენი სამოსწავლო მთავრობა ამ საგანს სხვა სავალდებულო საგანთა განაწილებაში კვირაში რაღაც ერთს გაკვეთილს უთმობს, ვინაიდან იქავე ნაჩვენებია, რომ თუ მასწავლებელს გალობის სწავლების უნარი არ შესწევს, ეს გაკვეთილი სხვა საგანთა გაკვეთილებით შეივსოს. ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება აზრს გალობის სავალდებულო საგნად აღიარებისას, განა საკმაო არ არის ვიცოდეთ, როგორ აფასებს მთავრობა იმ ორიოდე გალობის მცოდნე მასწავლებელთა ღვაწლს ამ ფრიად სასარგებლო საქმეში და რა შრომის ფასს იმეტებს თავგანწირულ მუშაკთა ნივთიერად დაკმაყოფილებისათვის! ამ მიზეზით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, სკოლიდან გალობის განდევნა რაც მას აუფერულებს და ცხოველს სხივს აკლებს.

მართალია არსებობს ორიოდე სკოლა, სადაც გალობას ასწავლიან, მაგრამ ეს უფრო უბრალო დროს დაკარგვაა ვიდრე ნამდვილი სწავლება. მასწავლებელს ხშირად არ შესწევს შესაფერი ცოდნა და მის შრომას თითქმის არავითარი ნაყოფი არ მოაქვს თუ სამიოდე მასწავლებელმა გალობა იცის მეტ წილად ზეპირად გაგონილით და ნოტებისა და საერთოდ, მუსიკისა კი სრულიად არაფერი გაეგება და აზეპირებინებს ძველი, დახავსებულ მეთოდით იმას, რაც თვითონ უსწავლია. რა თქმა უნდა ასეთი სწავლება უფრო წვალებას წარმოადგენს ვიდრე გალობის რაციონალურად სწავლებას.

საქმის ჯეროვან ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროა გალობის შესახებ საღი შეხედულება ვიქონიოთ, არსებული განწყობილება ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს. ამისთვის კი თავდაპირველად გალობის როგორც ხელოვნების ერთ-ერთ დარგის სავალდებულო საგნად აღიარება არის საჭირო; უნდა შევიგნოთ, რომ ადამიანის მთლიან აღზრდისათვის საკმაო არ არის მხოლოდ მშრალი ცოდნა, მეცნიერება-არამედ ფრიად საჭიროა ხელოვნება და კერძოდ კი მუსიკა და გალობა, ვინაიდან ესენი აღგვიძვრიან ხოლმე გრძნობებს, რომელნიც ადამიანის ბუნებაში იმალება, ადამიანისათვის საჭიროა იდიალური ქვეყანა, საითკენაც ჩვენ ხელოვნება გვიზიდავს, რომ ცოტა ხნით მაინც თავისუფლად ვიგრძნოთ თავი ყოველდღიურ ჭირ-ვარამისაგან, განვირჩეთ სხვა დაბალ არსებათაგან და დავივიწყოთ უფერული სინამდვილე. საჭიროა, გაიგოთ, გავიცადოთ გალობისა და მუსიკის უზენაესი გავლენა, რომელიც ჩვენში გამოიწვევს მაღალ სულიერ მოძრაობას, ამაღლებულ გრძნობებს, ფრთებს შეგვასხამს და სასიამოვნო განცდას გვაგრძნობინებს. თუ უტყუარია ის აზრი, რომ ადამიანის განვითარებისათვის საჭიროა არა მარტო ცოდნა არამედ ფორმალურ მხარეების შესაფერად აღზრდა-განვითარებაც, თავის თავად ცხადია გალობას და მუსიკას, როგორც ხელოვნებას, შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს. ყოველმხრივ განვითარებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა ადამიანის სულიერი ძალები თანასწორ ვარჯიშობას ექვემდებარება, თანასწორად ვითარდება. მშვენიერების გრძნობა ადამიანში ღრმად არის ჩასახული, მას აღზრდა ეჭირვება და ჩვენც ამაზე უნდა ვიზრუნოთ. მეცნიერება და ხელოვნება ორი მკვიდრი დაა; მათი მიზანი ერთია: ადამიანისათვის ბედნიერების მინიჭება. მეცნიერება აძლევს ადამიანს ბუნებასთან საბრძოლველ იარაღს; უვითარებს შორს მჭვრეტელობას, გამოურკვევს სხვა და სხვა მცნებებს და იდეიებს; ხელოვნება კი გადუშლის ხოლმე მას სულის იდუმალობას, ასათუთებს და აკეთილშობილებს მის გრძნობებს, აღამაღლებს ადამიანს და შეჰყავს იდიალურ მშვენიერების, სიმართლის და თავისუფლების სამყაროში. ამიტომ თუ გვინდა სრულ ვყოთ ადამიანი, არ უნდა მოვაკლოთ ესთეტიური აღზრდა-განვითარება: გალობისა და მუსიკის ზეგავლენა.

Foni.

# წერილი მოსკოვიდან

შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს რომ მოსკოვში ქართველობა ეხლაც ბლომადაა და ძველადაც ბევრი ყოფილა. მეტადრე ძველად. ჩვენი მეფენი და დიდებულნი იქ ხშირად სცხოვრობდნენ. ეხლაც არის ერთი მთელი უბანი, რომელსაც „Грузины" ჰქვიან. ამ უბანში ორი ეკლესიაა, ერთი მათგანი, უფრო პატარა, ეხლა, დიდი, წმ. გიორგის სახელობისა რუსების ხელშია. ეს ეკლესიები ძველ ქართველთაგანაა აშენებული და ბევრი რამაა შიგ ძველებური, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ძველებური ქართული ხასიათისა იყოს; მაგალითად, ხატებს, უფრო რუსული ხასიათი აქვთ, საყდრის ძველი შენობაც ისეა აშენებული, რომ უფრო რუსული ელფერი ადევს; მაგ. თაღები ჯვარედინად იკვრება, დაბალია, და რკინებით შეკრული, სწორედ ისე, როგორსაც კრემლის ძველ სასახლეებში ჰნახავს ადამიანი. რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ მაშინ ჩვენ მეფეებს ეკლესიები ქართულ გემოვნებაზე ეშენებინათ, ან ხატები დაეხატვინებინად ქართულ ხასიათისა. ამისთვის საჭირო იქნებოდა საქართველოდან წაყვანა მხატვრებისა და ხუროთ-მოძღვრებისა, ეს კი მაშინ ძნელი საქმე იყო. ერთი რამ კი ცხადია, და სხვა ფრივადაც არ იქნებოდა: ხატებს, ეჭვი არ არის ქართული წარწერები ჰქონია, მაგრამ ეხლა წაუშლიათ და სლოვიანურად წაუწერიათ. ვერც ქართველთა წმიდანების ხატები ვნახეთ. ამას გარდა, ამბობენ, ერთი ეკლესია კიდევ ყოფილა მოსკოვის შუა გულში, თეატრთა მოედანზე, იქ სადაც ეხლა დიდი სასტუმრო „მეტროპოლი"-ა.

მხოლოდ ეს კმარა იმის მაჩვენებლად, თუ რა ბლომად ყოფილან უწინ ქართველები. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ქართველ დიდებულთა და მეფეთა საფლავებია. დონის მონასტერში ასეთი საფლავები ბლომად მოიპოვება. საფლავები მონასტრის ქვედა სართულშია; აქ ოდესღაც ღვთის მსახურება ყოფილა, ეხლა კი ეს სართული მიტოვებულია, მტვერითა და აბლაბუდითაა სავსე და საწყობადა ხმარობენ, აღარც არავინ იმარხება იქა, თუმცა-ღა, თვით დონის მონასტრის სასაფლაო, მოსკოვის ერთ საუკეთესო სასაფლაოდ ითვლება და იქ რუსეთის მრავალი საუკეთესო შვილი ჰმარხია. მონასტერი გაშენებულია ქალაქ გარედ, და 7 ეკლესია აქვს, იგი დაარსებულია 1591 წ. სახსოვრად იმ დროისა ოდესაც მოსკოვი ყირიმის ხანს ყაზი-გირეის ბატონობიდან განთავისუფლდა. 1812 წელს, ნაპოლეონის შემოსევის დროს, მონასტერი მთლად დაიწვა, მაგრამ დონის ყაზახებმა დიდი ფული შესწირეს და განაახლეს.

მონასტერი მდიდარია. აქ დასაფლავებულ ქართველთა შორის, ყოვლის უწინარეს უნდა მოვიხსენიოთ ვახუშტი. იგი ქვედა სართულის შესავალშივეა დამარხული კედლის ძირად, მის გვერდით, კედელთან უფრო ახლოს, არის კიდევ ერთი საფლავი, რომლის წარწერაც მთლად წაშლილია. ვფიქრობთ, რომ ეს ვახუშტის მეუღლის საფლავი უნდა იყოს. თვით ვახუშტის საფლავის ქვა ძალიან გაცვეთილია და მხოლოდ რუსული წარწერა ეტყობა, ისიც ნახევრად, ამ რიგად: „Шти Вахтанговичъ". ასე უყურადღებოდაა მიტოვებული საქართველოს დიდებული შვილის, სწავლა-განათლების მოყვარის, საუკეთესო გეოგრაფის საფლავი. ვახუშტი მოსკოვის უნივერსიტეტის ერთი დამაარსებელთაგანია და მისი ბიუსტი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სდგას.

სხვათა საფლავებიც ბევრი ვნახეთ, ზოგის წარწერა გავარჩიეთ, ზოგისა კი ვერა; რაც გავარჩიეთ აქვე ჩამოვთვლით:

1) არჩილ ვახტანგის ძე მეფე იმერეთისა (თარიღი ვერ გავარჩიეთ.

2) იმერეთის ბატონიშვილი გენერალი კონსტანტინე დავითის ძე † 1839 წ. და მეუღლე მისი ანა მათეს ასული † 1841 წ.

3) მონა ქართველთ მეფისა ვახტანგისა და მისი ძისა ბაქარისა და მდივანი დედოფლისა რუსუდანისა სულხან თაქთაქიშვილი, † 1733 წ. მარტის 2.

4) მარკოზი, გაზრდილი მეფის არჩილისა, დიდად ნამსახურევი † 1730 წ. აგვისტოს ჩჰ.

5) ლეონ ლეონის ძე გრუზინსკი † 1800 წ.

6) გურგენ თამაზის ძე † 1730 წ. (გვარი ვერ გავარჩიეთ).

7) ალექსანდრე აბელის ძე (გვარი ვერ გავარჩიეთ, ვერც თარიღი).

ყველა ეს საფლავები, ვახუშტის საფლავსავით, უპატრონოდაა მიტოვებული, ხოლო, თუ წარწერები გადარჩენილა, მხოლოდ იმიტომ, რომ კედელზეა, თუმცაღა ბევრი გაჯითაა გათხუპნული და გასარჩევად ძნელია.

ასეთია ძველ ქართველთა ნაშთნი მოსკოვში.

ახლა ცოტა რამ ახლანდელ ქართველთა შესახებ. მოსწავლე ახალგაზდობის გარდა (300 კაცამდის) აქ ადამიანი ჰნახავს ვაჭრებს (რესტორანების პატრონს), მზარეულებს, ლაქიებს, სამხედრო პირთ, ვექილებს, ექიმებს და სხვათა. ყველა ამათ ერთმანეთში სუსტი კავშირი აქვთ. ერთად-ერთი დაწესებულება, რომელიც მათ ავად თუ კარგად აკავშირებს, გახლავთ **„ქართველთა საზოგადოება"**. საზოგადოებას 80-ამდის წევრი ჰყავს და მიზნად ურთ-ერთის დახმარება აქვს. ერთი უმთავრესი მიზანი საზოგადოებისა ის არის, რომ მოსკოვში მყოფ ქართველ მოსწავლეთ ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს. ამ მიზნით იგი ჰნიშნავს **სტიპენდიებს**; საზოგადოებას დღემდის 16 სტიპენდია ჰქონია. 10 სტიპენდია, კერძო პირთა მიერ დანიშნული ეხლა მოისპო, ასე რომ 1912 წ. 6-ღა დარჩება. ამისათვის გადადებულია 775 მან. ამის გარდა, საზოგადოება აარსებს **ბიბლიოთეკას**. საჭირო წიგნები უკვე ბლომადა აქვს, მაგრამ ხელ-მოკლეობა ნებას არ აძლევს სამკითხველო გაიხსნას, საზოგადოების მთელ შემოსავალს, შეადგენს საწევრო გადასახადი, წლიწადში თუმანი და შემოწირულებანი, საწევრო გადასახადი სუსტად შეაქვთ, საზოგადოების კასაში და ამიტომ გამგეობას ძალიან უჭირს საქმეების გაძღოლა.

მაისის 5-ს, იყო საზოგადო კრება, სადაც გამოირკვა, რომ საზოგადოების მოქმედებას ძალიან აფერხებს უსახსრობა; ამიტომ საზოგადოება იძულებულია ეცადოს, რომ დეფიციტი არ მოუვიდეს და უმთავრესი საგანი მისი, განუხორციელებელი რჩება. ამავე კრებაზე მოხდა გამგეობის არჩევნები: არჩეულ იქმნენ ისევ ძველი წევრნი გამგეობისა: ჯავახიშვილი, (ბიბლიოთეკის გამგე). თულაშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), ხორავა (მდივანი), პოლუმორდვინოვი, მაქსიმ ღამბარაშვილი. საზოგადოების თავმჯდომარედ თავ. სუმბათაშვილი-იუჟინია.

ი. ტ.

# მოწერილი ამბები

**ს. დიმი.** (ქუთ. მაზრა). როგორც იქმნა დიმის **სარწყავ არხის** საქმე უკეთეს კალაპოტში ჩადგა: 7 მაისს ინჟენერ-გიდრავლიკ ფ. ი. კილბოკის მეცადინეობით ძმ. ანანოვების სახლში მოხდა წინასწარი თათბირ არხის გაყვანის შესახებ. თათბირს დაესწრო სამი მხარე: ერთის მხრით ძმები აბგარ და მიხრან ანანოვები, მეორეს მხრით დიმელების წარმომადგენლები: გენ. მ. ჩხეიძე და თ. ზ. გეგეშიძე და მესამეს მხრით ივანე ანანოვის მემკვიდრეების მოურავი ა. ტადეოსიანცი. მხარეები ბევრი ლაპარაკის შემდეგ შეთანხმდნენ შემდეგში: გამოიყვანონ მდ. ხანის წყლიდან საერთო სარწყავი არხი; არხი გაივლის ს. დიმზე, რომლის სათესი ადგილებიც მოირწყვის, რის შემდეგაც მივა ძმ. ანანოვების ადგილზე და მორწყავს მას, დაბოლოს ირწყვება ივ. ანანოვის მემკვიდრეების ადგილი. როგორც სათავის გაკეთებაში, ისე უმთავრეს არხის გაყვანაში სამივე მხარე ღებულობს მონაწილეობას იმის და მიხედვით თუ ვის რამდენი ადგილი ერწყვის. ერთი კვირის შემდეგ ინჟენერი კილბოკი შეუდგება ადგილის წინასწარ გამოკვლევას და იმის გაგებას, თუ რომელ მხარეს რამდენი ადგილი მოერწყვის. ამის შემდეგ მხარეები მოიყრიან თავს და დასდებენ ერთმანეთში ხელ წერილს. არხის გასაყვანად მუშაობას შეუდგებიან არა უადრეს ერთი წლისა. დიმელებმა არხის გაყვანა სამი წლის წინეთ მოიწადინეს საკუთარი ძალღონით, დღეს ორი მხარე სხვა შეუერთდათ ამ საქმეში, თვითეულ მხარეს სამჯერ და ოთხჯერ მეტი ადგილი ერწყვის დიმელებზე, ამის და მიხედვით ხარჯსაც მეტს ეწევიან, რის გამოც დიმელებს ხარჯი საგრძნობლად უმცირდებათ. ეხლა მაინც ენერგიულად უნდა მოჰკიდონ ხელი და ფულის გამოღებაზე უბრალო წუწუნს არ მოჰყვნენ, ნუ დაივიწყებენ რომ დიდ საშვილი შვილო საქმეს მოჰკიდეს ხელი.

**ტაროსი** ჩვენსკენ მეტად ცუდია, აპრილი ისე გავიდა რომ ერთი ხეირიანი დღე არ გვინახავს: მუდამ მოღრუბლებული, მუდამ წვიმა, ხანდახან თოვლიც, მუდამ სიცივე, რამაც ძლიერ შეაწუხა ვენახები, თესვას ხომ სულ ვერ მიუდგა კაცი, რაც მარტის ბოლო რიცხვებში დაითესა, ისიც ხელმეორედ დასათესი გახდა. მაისმა ერთი-ორი დღე სიცხეები დაიჭირა, გვეგონა წვიმების „სეზონი" გათავდა, მაგრამ 7-დან ისევ წვიმა, ისევ ნისლი და სიცივე. არ ვიცი წლევანდელი წელიწადი რას გვიპირებს.

მაისის პირველ რიცხვებში ჩამოიარა პირველ რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ვ. ფ. კარპოვმა ბაღდადის რაიონის სკოლების სარევიზიოდ. საერთო შთაბეჭდილება კარგი იყო.

ერმა მოხუცმა მოძღვარმა მოახსენა ინსპექტორს მესამე განყოფილებაში რუსულად ათთორმეტი დღესასწაული იციან და სხვასაც რუსულად ვცდილობ ვასწავლოვო. ინსპექტორმა (რუსმა) მიუგო: особой надобности въ этомъ не было-о.

დიმის **საკრედიტო ამხანაგობის** საქმე, რომელმაც მოქმედება 15 აპრილს დაიწყო, ჯერჯერობით კარგად მიდის. თუ წინად საქმის მოთავეებს ამხანაგობის დასაარსებლად თხოვნაზე მოსაწერი ოცი კაცის შოვნა გაუჭირდათ, დღეს ბლომად **ეწერებიან ამხანაგობაში**, ასე რომ საქმის წევრების მიღებას ვეღარ ასდის გამგეობა [illegible] ჯერჯერობით მიღებულია 116 კაცი. ამ ნაირად [illegible] გულმოდგინე მოწადინება და გარჯილობა საზოგადოების საღ ნაწილს იმედებს უძრავს და ამხანაგობაში ეწერება.

თ. ჭყონდიდელი.

# საარჩევნო სამზადისი

## რუსეთში.

პროგრესისტები, რომელნიც აქამდი უმნიშვნელო ელემენტს შეადგენდნენ სამივე სათათბიროში, დღეს დიდის ენერგიით მუშაობენ მეოთხე სათათბიროს არჩევნებისათვის.

10 მაისს შუბინ-პოზდეევის ბინაზე დიდი თათბირი მოუხდენიათ. მ. კოვალევსკის ვრცელი მოხსენება წაუკითხავს: „თანამედროვე ნაციონალიზმი". კოვალევსკის უთქვამს: ჭეშმარიტ ნაციონალიზმს დიდი მერმისი აქვს რუსეთში, გერმანია და იტალია ნაციონალურ ერთობის იდეაზე გაიზარდნენ: ჩვენი ნაციონალიზმი კი რუსეთის მოქალაქეობიდან რიცხავს სხვა ერებს, რომელთაც რუსეთს დახმარება გაუწიეს ზრდა-განვითარების საქმეში. ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა დიდს უგუნურობას იჩენს სიმდიდრის „გაეროვნების" საქმეში. 9 ნოემბრის კანონმა დააქცია სოფელი და გლეხთა უმეტესობას წაართვა მიწა-წყალი. უმამულოთათვის არაფერი ვილონეთ, დიდი უბედურობაა მოსალოდნელი.

სარწმუნოებრივი და ნაციონალური განკერძოება სახელმწიფოს გახრწნასა და დაცემას იწვევს.

დიდი ხნის კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) სრული უპარტიობა, 2) ყველა საკონსტიტუციო პარტიათა შეთანხმება საარჩევნო საქმეში, 3) საარჩევნო პლატფორმის გამოქვეყნება და დამტკიცება მხოლოდ საზოგადო კრებას შეუძლიანო.

**გუბერნატორების ჩივილი.** გუბერნატორებს უკვე წარუდგენიათ თურმე შინაგან საქმეთა მინისტრისათვის თავისი მოსაზრება არჩევნების თაობაზე. გუბერნატორები აღნიშნავენ, ამომრჩევლები საოპოზიციო გუნებაზე არიან და მთავრობის კანდიდატების გაყვანას ვერ მოვახერხებთო.

**პროგრესისტები.** პროგრესისტების კომიტეტმა ოქტომბრისტების კავშირი უარჰყო, მაგრამ თანაც დაადგინა, როცა საქმე გაჭირდება და მემარჯვენეთა დიდი შიში გვექნება, მემარცხენე ოქტომბრისტებს დაუჭერთ მხარსაო.

**„შავთა კავშირი".** ეკატერინოსლავში გროვდებიან თურმე რუს ამომრჩეველთა კრების მონაწილენი, რომელნიც ნაციონალისტებს მოუწვევიათ.

პატარა ჯგუფი არის ამ შეკრებილებში, ძალიან სცდილობს საერთო ნიადაგი გამონახოს და ოქტომბრისტებისა, ნაციონალისტებისა და შავრაზმელთა კავშირი შექმნას.

**კეთილსაიმედოთ- მოფერება.** კიევის გუბერნატორს საერობო უფროსებისა და ქალაქთა მოურავებისათვის საიდუმლო მოწერილობა დაუგზავნია. იგი მოითხოვს, ყველაფერი, რაც კი მეოთხე სათათბიროს არჩევნებს ეხება, უეჭველად უნდა წარმოადგინოთ გასასინჯათაო.

მთავრობასვე ბრძანებით შეუდგენიათ პენსიონერთა სია და სცდილობენ მონაწილეობა მიაღებინონ არჩევნებშია, რადგან მათი კეთილსაიმედობა ეჭვს გარეშეა. სხვათა შორის, კიევში 1500 პენსიონერი, სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონებელი ყოფილა, არჩევნებში კი მხოლოდ 145 კაცს მიუღია მონაწილეობა.

# ოსმალეთ-იტალიის ომი

## დეპეშები.

**რომი.** მთავრობა აპირებს როდოსის გარემოცვას თავი დაანებოს.

**რომი.** ნეაპოლიდან „ჯიორნალე-დ-იტალიას" დეპეშით აცნობებენ: როდესაც საფრანგეთის გემი „კავკასია" სმირნის ნავთსადგურიდან გამოდიოდა, სიმაგრიდან ორჯერ ესროლეს ზარბაზანი. გემზე 60 განდევნილი იტალიელი იყო. ნეაპოლში მყოფ საფრანგეთის კონსულს მეძის

დროს, როდესაც დიონისოს დღესასწაული უნდა დაწყებულიყო: დემეტრიკას ცეკვას გაზვიადებული ჰანგი ვერ აჰყვებოდა!

ხშირია ისეთი ადგილებიც, სადაც შიშველი ლოგიკურ ეგრეც წოდებულ notiones [illegible] ხმარობს, მაგალითად, „ჩააწყვეს **უნჯნი ძვირფასნი**, შემკულნი ლალის თვლებითა" (გრდემ. 308 გვ.), **უნჯნი** თავისთავად ჰგულისხმობს ძვირფას რამეს, როგორც ნივთს, ისე ღირსებას, თვისებას და სხვა, აქედან „აღზდექ გმირთ-გმირო წუ გძინავს, მიგვიხმე **უნჯნი** ყმანია", ესე-იგი, ერთგული, ძვირფასი შენი მოყმენიო, აქედანვეა წარმოებული სახელი არსებითი **საუნჯე** (ძვირფას ნივთეულობის საგანძური); შემდეგ: „როს შემოადგნენ **პონტის ზღვას**"... (გრდ. 304 გვ.) პონტოსი (pontus) თავის თავად ზღვას ნიშნავს, მაშასადამე, განვლეს პონტის ზღვა, ეს იმას ნიშნავს, ზღვის ზღვა გაიარესო, უკეთ, ეს იგივე იქნებოდა, რომ გვეთქვა, ქრისტიანი მოინათლა იესოს რჯულზეო. ძველს პოეტებს შავი ზღვა პონტოსის სახელით ჰქონდათ მიღებული, (მაგ. ციცერონი აი როგორ ამბობს: „Medea et condem Porto". . Cie Z. M. 9,22). ჩვენ ერთს წინადადებასაც ვერ მივხვდით, სახელდობრ როდესაც დემეტრიკა ერთ მხლებელს დაუძახებს, რომელსაც „ოქრო მისცა სავსე ფასი" (გრდემლი, 298 გვ.), რა უნდოდა ეთქვა, ვითომც ოქროთი სავსე თასი მისცაო, თუ?..

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ბერძენთ ბევრს ჩვენს ჩვეულებებს და თვისებას აწერს, მაგალითად, ჰერკულესის ჭიდაობას რომ კითხულობს ადამიანი, ისეთი რეალური ფერებითა აქვს დახატული, ისეთი ცოცხლად (ვაშა ამისთვის ჩვენს მგოსანს!), რომ უკეთესი შეუძლებელია, სამწუხაროდ ბერძნული ჭიდაობა არ არის დახატული, არამედ ჩვენი ქართულ-კახური. ყური დაუგდეთ თვით მგოსანს:

„აქიელთა გამოიყვანეს მოჭიდავედ ჰერკულესი,
მისი მკლავი ძარღვ-აყრილი იქ მოსჩანდა უმსხვილესი,
შეიჭიდნენ ფალავანნი, რიგია და როგორც წესი,
დედამიწა ზანზარებდა, გრიალებდა როგორც მეხი,"—

ახლა კი სმენა:

„ჰერკულესმა არ აყოვნა, **გადაუდო შუა ფეხი,**
ფიცხლავ **სარმა** გამოუდო, სხვამ სიტყვა სთქვა დანაკვეხი;
**კისრულზე რომ მოიკიდა.** ზედ ოცს ადლზე გადისროლა," და სხვა.
(იხ. გრდემლი, 313 გვ.).

„სარმა", „ფეხის გამოდება", „კისრული", ეს ჩვენი ჭიდაობაა და ვერც ერთი გრავიურა, ვერც ერთი ქანდაკება ან აღწერილობა ვერა ვნახე, სადაც მზგავსი ჭიდაობის ფანდები დამენახოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ წარმართულ ელემენტებში ურევს ქრისტიანულს, მაგალითად, ფრიქსის ლოცვა არ არის წარმართის ლოცვა, არამედ ქრისტიანისა, თუმცა ლოცვა მიმართულია ძევსისადმი, აი ეს ადგილიც:

„ღმერთო ზევსს! შენ დაჰბადე არსი ყველა;
ცა-ხმელეთსა შენ განაგებ, ტახტს გიქარგავს ცისარტყელა,
სხვა ღმერთების მბრძანებელო, დამიფარე, მომეც შველა,
მუხლ-მოდრეკით, ხელ-აპყრობით გევედრები მძლეთა მძლეველს,
**შეიწყალე სული დისა, ნუ დაუხშობ სასუფეველს**", და სხვა.
(გრდემლი 306 გვ.)

სასუფეველი, ანუ სამოთხე ცხოვრება იმ დროინდელ ბერძნის გონებაში არ არსებობდა. უკვდავებას იგი სრულებით არ ჰსაჭიროებდა, ვინაიდა იგი თავის-თავს **მსოფლიოს ნაწილადა ჰრაცხდა, რომელიც მასთან შედარებით უკვდავი იყო.** ამ დროს მეორე ცხოვრება ან არ არსებობს, ან და თუ არსებობს, მხოლოდ ისე, როგორც ჩრდილთა სამეფო, რომელიც სიზმრების ასახსნელად მოეგონათ, მაგრამ ეს ქვეყანა ისეთი სალოდავი სახით იყო წარმოდგენილი, რომ არა თუ ფრიქსი თავის საყვარელ დაიას სულს, არამედ თავის უსასტიკეს დამღუპველ დემეტრიკასაც არ უსურვებდა. ჩრდილთა სამეფო მხოლოდ გულუბრყვილო პიასტეზა იყო, იგი სულიერ მოთხოვნილებას არ წარმოუშობდა. მეტი არ იქნება გავიხსენოთ აქილესის ჩრდილის ცნობილი მოთქმა:

„ჰოი ოდისევ, შენ სიკვდილში ვერა მცემ ნუგეშს;
მიჯობდა ცოცხლივ დღიურ მუშას მიწები მეხნა,
ღარიბ მხვნელ-მთესველს ლუკმა პურში მივკვდლებოდი,
ვიდრე აქ მკვდარსა უსულო მკვდარეთ თავზე მეფენო"!

მაშ ვერაფერი სამსახური იქნებოდა მოსიყვარულე ძმის მხრით დის ასეთს უბედურებაში ჩაგდება, თუ კი მართლა ძევსი ელგს ამ საშინელ აჩრდილთა შორის მოთავსებოდა, საცა თვით აქილესიც კი მეფობაზე უარს ამბობს და მხვნელ-მთესველის ერთ ლუკმას ართმევს.

ჩვენს მგოსანს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ პოემის სიმთელისათვის ყოველისფერს მნიშვნელობა აქვს: ჰავას, რელიგიას, ჩვეულებათ, რასას, რა თქმა უნდა, თვით პოლიტიკურ ცხოვრების შინაგან თუ გარეგან პირობებს, რომელთა შორისაც ჰხდება მოქმედება.

ამ მცირე შენიშვნის შემდეგ მკითხველს ზედმეტად აღარ შევაჩერებთ და თვით პოემის გარჩევას შევუდგებით.

(შემდეგი იქნება)

ბრიუსელი. დ. კასრაძე.

უფროსმა ეს ამბავი აცნობა. ბრინდიზიდან ნეაპოლში მოსულ იტალიელებს შიმშილი აწუხებთ. მთელს იტალიაში ჰკრებენ მათ სასარგებლოდ ფულსა.

**სტამბოლი.** უცხოეთის ზოგიერთი გაზეთები ირწმუნებოდნენ, ოსმალეთ-იტალიის მოსარიგებლად კონფერენციის მოწვევას პორტა დასთანხმდაო. ახლა „ოტომანთა სააგენტო“ იუწყება, ტყუილიაო, პორტას ეს აზრი არ მოუწონებიაო. დეპეშათა პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტმა ოსმალეთის პოლიტიკის ხელმძღვანელთაგან გაიგო, რომ ასეთი კონფერენციის მოწვევა მოუხერგებელია, რადგანაც შეუძლებელია ისეთ პირობების შემუშავება, რომელიც ოსმალეთს დააკმაყოფილებდესო.

**სააგენტოს შენიშვნა.** სააგენტომ ზემოდ-მოყვანილი ცნობა შეამოწმა და დარწმუნდა, რომ კონფერენციის მოწვევა აზრადაც არავის მოსვლია.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგე[ნტო])

**საზღვარ-გარედ**

16 მაისი.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** საბუთების მოპარვისათვის დამნაშავეთ სანდანსკის და ზედროსს ნახევარ წლის ციხე მიუსაჯეს.

ვადა, ალბანელებს რომ მისცეს დასამშვიდებლად, რვა დღით გაადიდეს. ოფიციალურად აცხადებენ, აჯანყებულნი, რომელთაც კუჩუკ-ბოგაზდებრის ვიწრო ხეობა ეჭირათ, შინ დაბრუნდნენო.

**უკრაინელთა უნივერსიტეტი.**

**ვენა.** გაზეთები ამბობენ: იმპერატორის ბძანება უკრაინელთა უნივერსიტეტის გამო ამ მოკლე ხანში ვერ გამოცხადდებაო. მიზეზად იმას ასახელებენ, უკრაინელთა და პოლონელთა შესათანხმებლად, ჯერ კიდევ დიდი დროა საჭიროო.

**მაროკოს ამბავი.**

**პარიზი.** პუანკარემ მინისტრთა საბჭოს გენერალ ლიოტეს დეპეშა წაუკითხა. გენერალი იუწყება: მეამბოხენი ქალაქ ფეცს თავს დაესხნენ, მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაქციეთო. პუანკარემ განაცხადა, მაროკოში ახალი ჯარი გაიგზავნება და სულ 46.000 კაცი იქნებაო.

**პარიზი.** გენერალი ლიოტე გერსიფიდან დეპეშით იტყობინება 13 მაისს რამდენიმე ასი მეამბოხე დავხრიტეო. მეამბოხეთ ჰსურვებიათ ფრანგთა ჯარისათვის გზა მოეჭრათ. ფრანგებისათვის ორი კაცი მოუკლავთ, ათი დაუჭრიათ.

**ცეცხლი პროჟექტორში.**

**კასტელო-დე-ლა-პლანა** (ესპანია) ვილარეალოდან იუწყებიან სინემოტოგრაფში ცეცხლი გაჩნდაო. 80 კაცი დამწვარა. მრავალი დაშავებულა

**რუსეთი**

**კოროლენკოს საქმე.**

**პეტერბურგი.** სენატს „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტორის კოროლენკოს საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვებია! ოროლენკოს, პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ ელპატიევის წერილის გამო „ჩვენი წრის ხალხი“ ორი კვირით დატუსაღება მიუსაჯა.

**არჩევნების გარშემო.**

**ეკატერინოსლავი.** 14 მაისიდან პოტიომკინის სასახლეში რუს ამომრჩეველთა კრებები იმართება. მონაწილეობენ გრაფი ბობრინსკი და სავენკო.

**ოდესის ნავთსადგური.**

**ოდესა.** დარდანელის გზის გახსნის შემდეგ ნავთსადგურის საუცხოეთო ნაწილში 19 გემი მოსულა. ნავთსადგური გამოცოცხლდა.

**წყალდიდობა.**

**ბუდაპეშტი.** სემიგრადიასა და სამხრეთ ჰუნგრეთში წყალდიდობას დიდი ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის. ბევრგან წყალს რკინის გზაც წაულეკნია. არადსა და ლუგაშში ხალხიც დამხრჩვალა.

**ლვოვი.** კრაკოვს ახლო მდებარე ოლქები ნაპირზე გადმოსულმა ვისლამ ძალიან დააზარალა. ეხლა წყალს ცოტა უკლია. დუნაიცს ტარნოვოს ახლო ადგილები წაულეკნია.

## რუსეთი

**ბურცევის განზრახვა.** სახელ განთქმულ ემიგრანტსა და აზეფის ორმაგობის გამომჟღავნებელს, ამ ჟამად პარიზში მცხოვრებს ბურცევს რუსეთში დაბრუნება განუზრახავს. ბურცევი სასამართლოს წინაშე წარსდგება თავისისავე ნებით, რადგან ჰსურს ბევრი საგულისხმო რამ გამოარკვიოს და გამოამჟღავნოს.

**ლექციის აკრძალვა.** კიევის მთავრობას დეპუტატ მილიუკოვისათვის ნება არ მიუცია ნაციონალიზმის თაობაზე ლექციის წაკითხვისა.

**მუშათა და მოსწავლეთა დაპატიმრება.** 11 მაისს პეტერბურგის ქალაქის უფროსის ბრძანებით ბევრი მუშა და მოსწავლე ახალგაზრდა დაუპატიმრებიათ. დაპატიმრებულებს პირველ მაისის არეულობასა და ქუჩაში გამართულ დემონსტრაციებში მონაწილეობას აბრალებენ. ყველასათვის სხვა და სხვა ვადის ციხე გადაუწყვეტიათ.

## დაგვიანებული პასუხი

(წერილი რედ. მიმართ)

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ „სახალხო გაზეთი“-ს № 523-ში მოთავსებულია წერილი თელავიდან. თელავში 3 თებერვალს გამართულ „სამასკარადო“ საღამოს შესახებ. ამ კორესპონდენციაში სხვათა შორის სწერია: „ეს მხიარულება ცოტას გასწყდა არ ჩაშალა თავის უადგილო ქცევით ბ-მა აჯიმამუდოვმა, რომელმაც „სახალხო გაზეთის“ აქაურ კორესპონდენტს დასცინა. იმას კი აღარ იტყობინება, თუ რამ გამოიწვია ასეთი საქციელი, ან რა შედეგი მოჰყვა ამას, რა ჩაიდინეს ბ-ნთ კახიძემა და მამინაიშვილმა, ზოგი ერთმა რად მიატოვეს დარბაზი და სხვა. ყველა ამას კორესპონდენტი უყურადღებოდ სტოვებს. ბ-ნი შინაურიც თავის გრძელ სიტყვაკაზმულ ეპისტოლეს ამ კორესპონდენციაზე ამყარებს. იმას კი აღარ კითხულობს, თუ რა აზრისაა თვით თელავის საზოგადოება.

საქმე კი აი როგორ იყო: კარდონზე დახატული იყო ამონაწერი „სახალხო გაზეთი“-ს 510 №-დან. ეს ამონაწერი ამტკიცებდა, რომ ბ-ნი დავიწყებული თელავის სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულ საღამოს წინაამდეგ ხმებს ავრცელებდა. ჩემს შენიშვნაში, სხვათა შორის მოყვანილი იყო შემდეგი სიტყვები: „გაუხარდეს კორესპონდენტს, აუსრულდა გულის წადილი, 28 იანვარს გამართულ საღამოს ხალხი ცოტა დაესწრო, რის გამოც 20—30 მოწაფე სასწავლებელს გარედა რჩება. ამასა ჰქვიან საზოგადო მოღვაწეობა?!“ ნუ თუ ეს სიტყვები შეხება წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, ან იგი შეურაცხმყოფელია საზოგადოების მეთაურებისა? ან სად ამოიკითხეს სიტყვა „გამგეობა“, „საზოგადოება“? არსად. მაშ რითი მივაყენე შეურაცხყოფა? ნუ თუ მით, რომ მათ გამართულ „სამასკარადო“ საღამოზე ნიღაბით წაველი? ან იქნება გამგეობამ თავის თავზედ მიიღო კორესპონდენტის დაცინვა? არა მგონია, რადგანაც თვით გამგეობა არ თანაუგრძნობდა თავიანთ ამხანაგის ბ-ნ დავიწყებულის წერილს.

რაიცა შეხება მას, თუ რამდენად არ თანაუგრძნობ და არა მსურს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების აყვავება, ან ვეხმარები თუ ხელს უშლი მას, -ამის დასამტკიცებლად შემიძლიან წერილობითი დასამტკიცებელი საბუთების წამოყენება: არ ვარდგენ ამას, რადგანაც ეს ჩემის მხრით დაფნის გვირგვინის მოთხოვნა იქნება. დაე ეს თვით თელავის ყველა საქველ-მოქმედო დაწესებულებამ,—მათ შორის წერა-კითხვის გამგეობამაც—დაასაბუთონ და დამსდონ თავიანთი მსჯავრი.

**მ. აჯიმამუდოვი.**

P. S. ორიოდე სიტყვა ბ-ნ შინაურსა. ბ-ნო შინაურო! ნებას მივცემ ჩემს თავს და ორიოდე კითხვას მოგცემთ. რა არის „სამასკარადო“ საღამო? ნუთუ იქ არ შეიძლება ვისმეს დასცინო? მგონია თქვენც დამეთანხმებით, რომ შეიძლება მხოლოდ საკითხი ის არის, რომ. მქონდა თუ არა საბუთი დამეცინა თქვენ პატივცემულ გაზეთის კორესპონდენტისათვის, რომელმაც გამოილაშქრა ისეთი დაწესებულების წინაამდეგ, როგორიც არის საქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება და რომელიც ოცდაათი წელიწადი ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას? მე მქონდა ამის საბუთი. **მ. ა.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ვესწრაფით შევასწოროთ უნებური შეცდომა, რომელიც მოუვიდა ბ. კორექტურს „თემის“ უკანასკნელ ნომერში.

„საქართველოს ეკლესიის მოძღვართა პროტესტს“, თბილისის ლისტოკის“ წინააღმდეგ მიმართულს, პირველმა ხელი მოაწერა ეპისკოპოსმა **ანტონმა.** „თემში“ კი სამწუხაროდ **ეპისკოპოსის** მაგიერ დაბეჭდილია **დეკანოზი.**

ეს უბრალო შეცდომაა და სჩანს იქიდან, რომ სამღვდელოება ჩამოთვლილია იერარქიის მიხედვით.

ამისთანა უნებლიეთ შეცდომისთვის ჩვენ დიდ ბოდიშს ვიხდით პატივცემულ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოს ანტონის წინაშე.

„თემის“ რედაქტორ-გამომცემელი **გრ. დიასამიძე.**

მრავალ პირთაგან გამოთქმული კმაყოფილება და მადლობა, რაიც ჩვენ შემთხვევა გვქონდა მოგვესმინა კვირას, 13 მაისს, ზ. სახალხო სახლში გამართულ სალიტერატურო-სამუსიკო დილის შესახებ, ზნეობრივად გვავალებს, აღნიშნულ დილაზე დამსწრეთა მადლობა, ჩვენს ულრმეს მადლობასთან ერთად, გადაუღლოცოთ იმათ, ვინც ფაქტიურად აღძრეს და დაიმსახურეს დილაზე დამსწრეთა კეთილი გრძნობა, ესენი არიან: ჩვენი სიამაყე და ძვირფასი მსახიობი ვლ. ალ.-მესხიშვილი, ლექტორი სარგის კაკაბაძე, ჩვენი მწერლები: ი. გედევანიშვილი, ეკალაძე, ქუჩიშვილი, ირეთელი, სახალხო სახლის რეჟისორი ალ. წუწუნავა, მსახიობი ნ. გოცირიძე, თეატრ „მინიატურის“ მსახიობნი: ქ-ნი თუმანოვისა, ბ-ნნი ლანგფელდი, დუბროვინი, სლუცკი, ლუტკინი და 9 წლის გოგონა მარიკო ირემაშვილი, რომელთაც ხალისით მიიღეს ჩვენი მიპატიჟება და სრულიად უსასყიდლოდ დილაში მონაწილეობდნენ. ვმადლობთ აგრეთვე ბ. მიშა კავსაძის ქართულ ხოროს, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა.

გულწრფელად მადლობელი და დავალებული **გ. სალარიძე.**

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი თ-დ ვასილ რევაზის ძე მაჩაბელს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ სოფ. ქურთის სკოლის ხელმოკლე მოწაფეთათვის სხვა და სხვა სასწავლო ნივთების შესაძენად ფული შემოსწირა.

სოფ. ქურთის სკოლის მასწავლებელი **ელენე კასრაძე.**

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ჟურნალ „განათლების“ რედაქტორს ლ. ბოცვაძეს, რომელმაც ორის წლის ნომრები შემოსწირა მეტეხის ციხის ტუსაღთათვის.

პატიმართა მონდობილობით **ი. იმედაშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**


## განცხადებანი

გადამდებ და ეპიდემიურ სნეულებათაგან (ხოლერა, სახადი, ყვავილი, ქუნთრუშა, წითელა, ათაშანგი, მუნი და სხვა) გასაფრთხილებლად, როგორც დამტკიცებულია, ყველაზე უმჯობესია სათუთი სიფაქიზე. აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველთვის, ჭამის წინ, არამც თუ დაიბანოთ ხელები, არამედ დეზინფექციაც გაიკეთოთ.

ამისათვის განსაკუთრებით კარგია გადამდებ სენის ასაცილებლად საგანგებოდ გამოგონილი „**№ 4711 სამკურნალო საპონი**“.

ნამდვილი ცნობები თუ როგორ უნდა იხმაროთ იგი (რუსულად და გერმანულად) დაბეჭდილია და თანა სდევს საპნის ყოველ ნაჭერს.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონს“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია) „№ 4711 მდოგვის საპონს“ და „№ 4711 სულემას საპონს“.

„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში—ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ, რომ ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს არის თავდები, რომ საპონი კარგი ღირსებისაა.

Метцнь. 184061. (4—1216—1)


## მატარებლების მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-II, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5. საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-V მე-II კლ. ვაგ. ღამ. 8 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო მატ.** № 77 a**, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ.** № 78/79, მე- და მე-4 კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109/104 I—II კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5. ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-II კლ. ვაგ. № 07, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4. საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-II კლ. ვაგ. № 06, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან საქონ. და სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, [illegible]. 71

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შენახვაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო** № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება. მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ. **ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ. **ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ. **ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე. **კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ. **ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ. **ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს. **მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი. რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.


## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.1231.3)

## სარდაფი

დიდი, საქონლის საწყობად (ფართლეულისა, ფქვილისა და სხვა) **ქირავდება** ვაგზლის ქუჩაზე № 21. იკითხეთ იქვე ბიბაჯანოვის მაღაზიაში. (1—461—1)

## ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—60)

## ექიმი ტ. ბ. ...

[illegible] იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ. 5—7 საათზე. [illegible] № 12 [illegible]

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**გ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ. ნავასარდიანი.** (წ. 1074.49)

## თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

## იმერული შამპანიური ღვინოები,

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში.

„**კოლხიდა**“ და „**თამარა**“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და

2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.1166.15)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება დრამატიული თხზულებანი:**

| | | |
|---|---|---|
| ადამიანის ცხოვრება თარგ. ფ. | 50 | კ. |
| ბედმა მიღალატა. კ. 3 მოქ. | 20 | „ |
| ბრძოლა არსებობისათვის. დრ. პოემა, გაბრ. | 60 | „ |
| გაყრა, გ. ერისთავისა | 5 | „ |
| გამცემი. დრ. 3 მოქ. გედ. | 25 | „ |
| გალატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ. | 10 | „ |
| დემონი. ოპერეტ. | 50 | „ |
| დარბეულნი. დრ. 4 მოქ. | 30 | „ |
| დრამ. თხზ. დ. ერისთავისა | 1 მ.— | „ |
| დალი. დრ. 3 მოქ. | 20 | „ |
| დრამ. დ კომ., „სორაპ“ გამ. | 1 მ.— | „ |
| დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ხანუმა, მშვენიერი ელენეს მაძიებ., ოინბაზი | 50 | „ |
| ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ. | 35 | „ |
| თანამედროვე პიესები ს.ტარ.: კოცნა პირვ. დ უკანასკ., ფეხთა მეფე, მწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი. | 30 | „ |
| ილიას დღე ქიათ. დ ბატ. დ ყმა | 20 | „ |
| კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ. | 50 | „ |
| მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ. | 15 | „ |
| მტარვლის ბედი. დრ. მოქ. | 10 | „ |
| მეგობრობა. დრ. 4 მოქ. | 30 | „ |
| მეზობლები. ტრ. რ. 4 მოქ. | 40 | „ |
| მოლიერი. დრ. თხზ. | 50 | „ |
| მარო. დრამის ნაწყვ. | 3 | „ |
| მიჯაჭული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია. | 50 | „ |
| მეორე კაენი. დრ. 3 მოქ. | 30 | „ |
| მაკბეტი. ნათ. ი. მაჩაბლისა | 40 | „ |
| ნაძირალნი. გორკისა 4 მ. | 25 | „ |
| ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ. | 40 | „ |
| ორი პიესა. ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან. | 25 | „ |
| ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი ძეფობენ. | 50 | „ |
| ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ. | 40 | „ |
| პანთეონი ქართ. თ.: იქვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია. | 30 | „ |
| რიჩარდ. | 40 | „ |
| საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ. | 25 | „ |
| საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. კომ. 1 მოქ. | 10 | „ |
| სამშობლოს ბრუჯნი | 10 | „ |
| სამეგრ. მთ. ლევან ვ. ყიფ. | 40 | „ |
| უმარილის ბრალია. კ. 3 მ. | 10 | „ |
| ფეიქრები. დრ. 5 მოქ. | 50 | „ |
| ქრისტინე. დრ. 5 მოქ. | 20 | „ |
| ქართული პიესები: უშნო არშიყი, სოფიო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან. | 20 | „ |
| ღალატი. ნათ. ყიფშიძისა | 50 | „ |
| ღალატი. ნათ. ნ. ავალ. 1 | 25 | „ |
| ღალატი. ნათ. კ. მესხისა | 25 | „ |
| ცოლი ვიტირო თუ ფული!? | 15 | „ |
| შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ. | 30 | „ |
| წყურვილი. დრ. 3 მოქ. | 30 | „ |

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред. груз насел. (წ. 1141.45)

## ჟურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ქუთაისში

ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ქაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კასტრულები და სპილენძის ჭურჭეულობა. სამოვრები, ჭიროსინკები და ყოველგვარი სოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, მოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვარშავის კროატები, დოშაგები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრამოფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პერმორიკი) ახალის ს-სტემისა და საქლუბის მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაისის და ბათომისა გვაქვს წარმომადგენლობა: **საწერი მანქანა „ტორპედოსი“.** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.9)